

თეა ტეტელოშვილი

არაერთსიტყვიანი უდანართო სათაურების/სახელწოდებების მართლწერისათვის

ცნობილია, რომ წინადადების წევრის როლში შეიძლება მოგვევლინოს არაერთსიტყვიანი სათაურები თუ სახელწოდებები.

მაგალითები:

„ახალი სეზონიდან **„ნანუკას შოუს“** ახალი პროდიუსერი ეყოლება“.

„**დარჩი ჩემთან**“ პაატას კინოდებიუტი“.

„ზაზა ურუშაძის **„სამი სახლი“** ჩემი საყვარელი ფილმი“.

„**კვირის პალიტრა**“ დაუკავშირდა ქიმიის მასწავლებელს“.

ამგვარ ენობრივ ერთეულთა ლექსიკალიზაციის პროცესს ა. დავითიანი შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „სახელდებით წინადადებას უახლოვდება ნაწარმოების, წიგნის, დაწესებულების, საწარმოს ან სხვა დასახელება-სათაურები, რომლებიც, ჩვეულებრივ, კონკრეტულ წინადადებაში მყარ ერთეულებად (ლექსიკალიზებულ შესიტყვებებად) გვევლინებიან, სიტყვათშეხამებაში ერთი წევრის როლს ასრულებენ და ამდენად სტრუქტურულ თავისებურებებს არ ქმნიან“ [დავითიანი 1973: 138]. ისინი ფრაზის/წინადადების სტრუქტურაში, რა თქმა უნდა, იკავებენ რომელიმე წევრისთვის განკუთვნილ ადგილს და ისეთსავე სინტაქსურ მიმართებებს ამყარებენ სხვა წევრებთან, როგორც მათ პოზიციაში მყოფ ერთსიტყვიან წევრს ექნებოდა. სწორედ ამის გამოა, რომ არაერთსიტყვიანი სახელწოდებები თუ სათაურები ადვილად ჯდება წინადადების ჯაჭვში და მსმენელი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ახერხებს მოსაუბრის აზრის გაგებას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაერთსიტყვიანი სათაურებისა თუ სახელწოდებების ამგვარი ბუნების გამო მათ მართლწერასთან დაკავშირებით ხშირად იქმნება პრობლემები. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც არაერთსიტყვიან სათაურს/სახელწოდებას არ ახლავს დანართი წევრი. ბუნებრივია, დანართის არსებობისას კონტექსტის შესაბამისად დანართის ამა თუ

იმ ბრუნვის ფორმით წარმოდგენის წყალობით შედარებით ნაკლებად იქმნება შეცდომის დაშვების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც არაერთსიტყვიანი სათაურებისა თუ სახელწოდებების დანართის გარეშე გამოყენებისას მართლწერასთან დაკავშირებული ხარვეზები შედარებით ხშირია. საკითხის ანალიზისთვის მიემართეთ ქართულ ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიას და მოპოვებული მასალის დამუშავების საფუძველზე გამოვყავით ზემოხსენებული ტიპის სათაურთა თუ სახელწოდებათა მართლწერასთან დაკავშირებული შეცდომების ორი ტიპი:

1. არაერთსიტყვიანი სათაური/სახელწოდება წარმოდგენილია ლათინურენოვანი ასოებით და გაფორმებულია ან არ არის გაფორმებული სათანადო ბრუნვის ფორმით;

2. არაერთსიტყვიანი სათაური/სახელწოდება ქართულენოვანია, მაგრამ წარმოდგენილია არამართებული ფორმით.

პირველი სახის დაწერილობის ნიმუშებია*:

„შემდეგ გამოჩნდა **TIME-ი, Washington Post-ი**“.

„... წერდა კრაუტჰამერი 2002 წელს **National Interest-ში**“.

„აღსანიშნავია, რომ დარეგისტრირებული მომხმარებლების მიხედვით შედარებით კარგ მდგომარეობაშია **Google Plus-იც**“.

„**Human Rights Watch-ი** 1999 წლიდან მოითხოვს მის გასამართლებას“.

„**Publisher's weekly online-ის** ცნობით, ელექტრონული წიგნების მომხმარებელი ახლა უფრო მეტ ფულს ხარჯავს ნებისმიერ წიგნებში, ვიდრე მაშინ, როცა მხოლოდ ნაბეჭდ პროდუქციას მოიხმარდა“.

„3 სექტემბრიდან კი **Lund's Konstall-ის** ბანერი დამთვალიერებელს ქართველ მხატვართა გამოფენაზე ეპატიჟება“.

მაგალითებში წარმოდგენილი სახით სახელწოდებების გადმოცემა, ჩვენი აზრით, საერთოდ უგულებელსაყოფია, **რამდენადაც ტრანსლიტერაციის წესები დადგენილია და სახელწოდებები ამ წესების დაცვით უნდა გადმოვიტანოთ ქართულად. ლათინურენოვანი შესატყვისი კი შესაძლოა (თუმცა არასავალდებულო) წარმოვადგინოთ ფრჩხილებში.**

* მაგალითებში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

სახელწოდებების/სათაურების დაწერილობის მეორე ტიპის ნიმუშებია:

„ეთამაშე ვარსკვლავის“ და „ლოტოს“ წამყვანი ანუკა ქორქია უკვე რამდენიმე თვეა შეყვარებულია“.

„სამეფო უზნის თეატრში ჯგუფელმა და მეგობარმა, დათა თავამემ პაატა ორ სპექტაკლში ათამაშა – „სხვისი შვილები“ და „მახინჯი“.

„მაისში „დარჩი ჩემთან“ გადაიღო, პირველ ოქტომბერს „გასე-ორნება ყარაზალი-3“-ის გადაღებას იწყებს“...

„მაიტა ნასოსი“ და „სვანის“ შემდეგ ცოტა ხნის წინ მუსიკალურად კიდევ ორი ახალი ფილმი გააფორმა“.

ბუნებრივია, არაერთსიტყვიანი სათაურისა თუ სახელწოდების კონტექსტში წარმოდგენისთვის საჭიროა შესაბამის ბრუნვაში მისი ჩასმა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ასეთი სათაურის ლექსიკალიზაციის შედეგად იგი ერთ ოდენობად აღიქმება, რის გამოც დანართის გარეშე გამოყენებისას, ჩვეულებრივ, ასეთი სახელწოდების ბოლო სიტყვას ურთავენ ბრუნვის ნიშანსა თუ თანდებულს. რა თქმა უნდა, მართლწერასთან დაკავშირებული პრობლემა არ იქმნება, როდესაც კონტექსტი არაერთსიტყვიანი სათაურის/სახელწოდების სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენას მოითხოვს, სამაგიეროდ, სხვა ბრუნვის ფორმით თუ თანდებულთა გაფორმების შემთხვევებში არაერთ უმართებულო დაწერილობას ვხვდებით. ნაკლებ პრობლემურია ორსიტყვიანი სახელწოდებების მართლწერა, როდესაც სახელწოდების შემადგენელი ელემენტები მსაზღვრელ-საზღვრული სახელებია: „**ლამაზი ქალი**“, „**სამი მუშეკტერი**“, „**ჩემი თავგადასავალი**“ და სხვ. თუ ორსიტყვიანი სათაური ან სახელწოდება შეიცავს ზმნას, ასეთი სახელწოდების სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გადმოცემა ხშირად ბუნდოვანებასაც კი ქმნის. ასევე გაუგებარი ხდება თანდებულიანი სახელწოდების აზრი მისი ხელახალი ბრუნების გამო. ბრუნებისას ხშირად ირღვევა კავშირის შემცველი სახელწოდების (მაგ., „**ქეთო და კოტე**“ ტიპის დასახელებები) მართლწერაც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ **არაერთსიტყვიანი სათაურები/სახელწოდებები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი ზმნაა, ან არასახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი, ან თანდებულიანი სახელი, ან სათაური/სახელწოდება შეიცავს კავშირს, ბუნდოვანების თავიდან აცილე-**

ბის მიზნით ჯობს, ასეთი სათაური/სახელწოდება გამოვიყენოთ დანართთან ერთად და დადგენილი წესის [აფრიდონიძე 2011: 493; ვაშაკიძე 2014: 45; ცქიტიშვილი 1983: 113] თანახმად დანართი გავაფორმოთ შესაბამისი ბუნვის ნიშნითა თუ თანდებულთ, ხოლო სათაური/სახელწოდება დაგტოვოთ უცვლელად. ამგვარად თავიდან ავიცილებთ მართლწერის თვალსაზრისით უმართებულო ფორმებსა და აზრობრივ ბუნდოვანებას.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 2011 – შ. აფრიდონიძე, დანართიანი სათაურ-სახელწოდებანი კონტექსტში, სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

დავითიანი 1973 – ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ვაშაკიძე 2014 – თ. ვაშაკიძე, ერთი ტიპის დანართიანი სათაურის მართლწერისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი XIV, თბილისი.

ცქიტიშვილი 1983 – ნ. ცქიტიშვილი, დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, თბილისი.

Tea Teteloshvili

On Spelling Compound Titles or Names without Insertions

S u m m a r y

When spelling compound titles or names without insertions some problems may occur. Based on the analysis of the data collected from the 88

Georgian printed or electronic media we outlined the two type of the mistakes associated with the spelling of the above-mentioned titles and names.

1. A compound title or a name is written by the Latin letters and adds or does not add the relevant declension form.
2. A compound title or a name is Georgian but is written in the wrong way.

We think that it is not acceptable to express the name according to the first statement as far as the rules of transliteration have already been established and we should comply with them. The Latin matching can be represented in the brackets (optionally).

As for the second type we believe that the compound titles or names one of the components of which is a verb or a nominal not in the nominative case or a nominal with a postposition or if the title/the name contains a connector it is better to use an insertion with the relevant declension form and a posposition and do not change the title/the name itself to avoid ambiguity. So, in this way we avoid improper forms with respect to the spelling and also a semantic ambiguity.